ა (ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

21.03.2012 №34

თბილისი

სტუ-ს ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორის
თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს 2012 წლის 1 მარტის სხდომის №9 ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი.
2. კონსურსი ჩატარდეს 2012 წლის 2 აპრილს.
3. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2012 წლის 22 მარტს და დასრულდეს 2012 წლის 30 მარტს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის შენობაში. (მის: სარაჯიშვილის ქ. №1ა. III სართული), 11 საათიდან – 16 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობის გამოცდილება.

გ) მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

დ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა;

ე) სამეცნიერო პროექტებში, გრანტებში მონაწილეობა (ჩამონათვალი);

ვ) ცენტრის პროფილით პერსპექტიული განვითარების ხედვა – სამოქმედო პროგრამა.